



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

15 სექტემბერი 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 149

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 21 თებერვლის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საჯარო აუქციონის ორგანიზების მიზნით სააუქციონო კომისიის შექმნის თაობაზე“ №22 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 21 თებერვლის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საჯარო აუქციონის ორგანიზების მიზნით სააუქციონო კომისიის შექმნის თაობაზე“ №22 ბრძანებაში და ბრძანების 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კომისიის თავმჯდომარე – ლავრენტი ქვილორია – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე“.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი